ხმელნიცკის ოლქში რეიდერებმა უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის ტაძარი მიიტაცეს



სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 11.02.2026. 2026 წლის 9 თებერვლის დილას ხმელნიცკის ოლქის სოფელ კუზმინში უცნობმა პირებმა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის ტაძარი დაიკავეს, – **წერს** მჟკ.

უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ადვოკატმა, დეკანოზმა ნიკიტა ჩეკმანმა განაცხადა, რომ ტაძრის წინმძღვრის, დეკანოზ გიორგი სიკალიუკისა და მისი სამრევლოს ინტერესებს **სასამართლოში დაიცავენ.** მისი თქმით, უცნობმა პირებმა საკეტები გატეხეს, უკანონოდ შეიჭრნენ ტაძრის ტერიტორიაზე და ფაქტობრივად უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლს მისი გამოყენების შესაძლობლობა ჩამოართვეს. თუმცა, არ არსებობს არცერთი სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც ეკლესიის ჩამორთმევის ან თემის გამოსახლების უფლებამოსილებას ვინმეს მიანიჭებდა.

ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ 2025 წლის 21 დეკემბერს სოფელ კუზმინის კულტურის სახლში

გაიმართა ტერიტორიალური თემის კრება, სადაც ტერიტორიული თემის წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის სამრევლოს „მეუ“-ში გადაყვანა. თუმცა, ეკლესიის წინამძღვარმა, დეკანოზმა გიორგი სიკალიუკმა და რელიგიური თემის ნამდვილმა წევრებმა ერთხმად მისცეს ხმა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის შემადგენლობაში დარჩენას, რომელსაც ხელმძღვანელობს კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტი ონოფრე.

მიუხედავად ოფიციალური მოთხოვნისა, თავი შეიკავონ რეგისტრაციისგან დავის სასამართლოში განხილვამდე, ხმელნიცკის საოლქო სამხედრო ადმინისტრაციამ ხელახლა დაარეგისტრირა რელიგიური თემი, შეცვალა რა მისი სახელწოდება, ხელმძღვანელობა და კონფესიური დაქვემდებარება.

„კიევის სამეურნეო სასამართლოში შეტანილია სარჩელი მოთხოვნით, აიკრძალოს ყოველგვარი სარეგისტრაციო მოქმედება თემთან მიმართებით. განცხადების შეტანის მიუხედავად, უკვე რამდენიმე საათში სახელმწიფო რეგისტრატორმა შეიტანა ცვლილებები ერთიან სახელმწიფო რეესტრში, უგულებელყო სასამართლო პროცედურა და შექმნა პირობები ტაძრის შემდგომი რეიდერული მიტაცებისთვის“, – აღნიშნა დეკანოზმა ნიკიტა ჩეკმანმა. ამასთან დაკავშირებით შეტანილია განცხადება უკრაინის სისხლის სამართლის კოდექსის 356-ე მუხლით („თვითნებობა“) გათვალისწინებული დანაშაულის შესახებ.

ხმელნიცკის ეპარქიაში **განაცხადეს,** რომ ტაძარი მიიტაცეს გაყალბებული დოკუმენტების საფუძველზე, რომელთა მიხედვითაც თითქოს რელიგიური თემმა გადაწყვიტა უმე-დან „მეუ“-ში გადასვლა. ასევე, წესდებაში შეტანილ იქნა ცვლილებები და შეიცვალა ხელმძღვანელი – დეკანოზ გიორგი სიკალიუკის ნაცვლად მითითებულია ბოგდან ბილიავეცი. ეპარქიაში ხაზგასმით აღნიშნეს, რომ კანონის თანახმად, იმ ადამიანების ქმედებები, რომლებიც არ არიან რელიგიური საზოგადოების წევრები, მაგრამ ცდილობენ მისი სახელით მოქმედებას, კანონის უხეში დარღვევაა, რისთვისაც პასუხისმგებლობაა გათვალისწინებული.

უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის რელიგიური საზოგადოება არ ეთანხმება ამ უკანონობას და დაიცავს თავის უფლებებს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, სასამართლოს მეშვეობით შეეცდება დაიბრუნოს ჩამორთმეული ტაძარი.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/94026/